განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

## შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“

06.18.2019

თბილისი

2019

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **კავკასიის უნივერსიტეტი** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **205050567** |
| დაწესებულების სახე | **უნივერსიტეტი** |

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | **ჯანდაცვის მენეჯმენტი** |
| განათლების საფეხური | **მაგისტრატურა** |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | **ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი** |
| სწავლების ენა | **ქართული** |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | **აკრედიტებული** |

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ხათუნა საგანელიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ზარნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით ცირამუა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა**

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კავკასიის უნივერსიტეტში ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ფუნქციონირებს 2011 წლის 16 მაისიდან (N01/05-105), ხოლო 20.06.2018 განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს №73 გადაწყვეტილებით პროგრამამ მიიღო ერთწლიანი აკრედიტაცია. აკრედიტაციის პროცესში გამოიკვეთა რიგი რეკომენდაციები და რჩევები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის. მომდევნო აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში უნივერსიტეტის მიერ შეირჩა პროგრამის ახალი ხელმძღვანელი, პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება და დამტკიცებულ იქნა 3.12.2018 (ოქმი N2) .

მოდიფიცირებულ ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადება, რომელსაც ექნება ჯანდაცვის მენეჯმენტის ღრმა და სისტემური ცოდნა. წარმოდგენილ პროგრამაში:

- დამატებულ იქნა სასაწავლო კურსი ოპერაციული მენეჯმენტი
- დამატებულ იქნა სასაწავლო კურსი სამედიცინო ორგანიზაციების მართვა
- ამოღებულ იქნა სასაწავლო კურსი „გამოყენებითი ბიოსტატისტიკა“
- ამოღებულ იქნა სასაწავლო კურსი „გლობალური ჯანდაცვა“

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს და შედგება: თეორიული კომპონენტისა (84 ECTS კრედიტი), პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მიმართული კომპონენტის (6 ECTS კრედიტი) და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისაგან, რომელიც მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და მის დაცვას (30 ECTS კრედიტი).

პროგრამით გათვალისწინებულია:

- დარგობრივი სავალდებულო საგნები - 54 ECTS
- დარგობრივი არჩევითი საგნები - 30 ECTS (შეთავაზებული 60 ECTS)
- პრაქტიკული კომპონენტი - 6 ECTS
- სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებს აკადმიური პერსონალი (3 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტი).

პროგრამის განმახორციელებელი აკადმიური პერსონალიდან მისი მოქმედების პერიოდში წავიდა 3 ასოცირებული პროფესორი, ხოლო შემოუერთდა 1 პროფესორი და 1 ასოცირებული პროფესორი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, 23. 05. 2019 განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი კავკასიის უნივერიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. გაიმართა შეხვედრები:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- თვითშეფასების ჯგუფთან
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან
- პროგრამის ხელმძღვანელთან
- აკადემიურ პერსონალთან
- მოწვეულ ლექტორებთან
- სტუდენტებთან
- კურსდამთავრებულებთან
- დამსაქმებლებთან

ვიზიტის ფარგლებში ასევე მოხდა პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სტუდენტური სივრცეები) და სამაგისტრო ნაშრომებოს განხილვა.
სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გამართა ძირითადი მიგნებების წინასწარი პრეზენტაცია უნივერსიტეტის წარმოადგენლებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის მიზანი რეალისტირია და მიღწევადია უსდ-ის მიერ, ამავე დროს გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები. ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები თანხვედრაშია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისთვის განსაზღვრულ მოსალოდნელ შედეგებთან და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, დარგის სპეციფიკურ და ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს და ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებას.

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი პირობები.

პროგრამა შემუშავებულია კავკასიის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების (დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების) წესის შესაბამისად და აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

კურიკულუმის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას. რაც შეეხება სასწავლო კურსებს ძირითადად არ გააჩნიათ კურსზე დაშვების წინაპირობები და წარმოადგენენ დამოუკედებელ საგნებს.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი „პროფესიული პრაქტიკა“ საშუალებას აძლევს სტუდენტებს სწავლის პერიოდში გაიარონ პრაქტიკა სხვადასხვა ჯანდაცვის დაწესებულებებში.

კვლევითი უნარების გამომუშავების მიზნით პროგრამით გათვალისწინებულია სავალდებულო საგანი „კვლევის მეთოდები ჯანდაცვაში“, რომელიც მთლიანად კვლევის მეთოდების შესწავლაზეა ორიენტირებული, შესაბამისად ხდება მაგისტრანტის მომზადება მთავარი კვლევითი კომპონენტის, სამაგისტრო ნაშრომის, შესრულებისთვის.

პროგრამას, სილაბუსებსა და თვითშეფასების ანგარიშშიც ასახულია, რომ სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმნეტების მიხედვით. მაგისტრატურის დებულებით გაწერილია პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა.

პროგრამის ფარგლებში დაწესებულება სტუდენტებს ხელმძღვანელად სთავაზობს კვალიფიციურ აკადემიურ პერსონალს. ხელმძღვანელებისთვის წაყენებული მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები დეტალურად არის გაწერილი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური ერთეულის მიერ შემუშავებულ მაგისტრატურის დებულებაში.

უნივერსიტში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობის და საათობრივი დატვირთვის განაწილების წესი.

პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის ერთიანი და თანმიმდევრული პოლიტიკა. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით, ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები და გაწერილია  პერსონალის  განვითარების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია შესაბამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი.

2019 წლის 29 იანვარს კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მიერ დამტკიცდა ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის განახლებული ბიუჯეტი. სასურველია გაიზარდოს პროგრამის განვითარების ბიუჯეტი (აკადემიური პერსონალის განვითარება, ინტერნაციონალიზაცია, ბიბლიოთეკა და სხვა).

- **რეკომენდაციები**

  - მიზანშეწონილია სასწავლო კურსები „ჯანდაცვის სამართალი და ბიოეთიკა“ და „ხარისხის მართვა და პაციენტის უსაფრთხოება“ გადავიდნენ არჩევითიდან სავალდებულო სასწავლო კურსებად, ვინაიდან ამ კურსებს სტუდენტი გაყავს ისეთ კომპეტენციაზე, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია დარგის ცოდნისთვის და ამავე დროს ამ სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი სწავლის შედეგები ასახულია პროგრამის ძირითად შედეგებშიც.
  - მიზანშეწონილია პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით სტუდენტების, დამსაქმებლების და აკადემიური პერსონალის აქტიურობა, კერძოდ ჩართულობა თვითშეფასების შემუშავების პროცესში
  - უნივერსიტეტის მხრიდან მიზანშეწონილია უფრო მეტი ზრუნვა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებაზე.
  - სასურველია გაიზარდოს ბიუჯეტში პროგრამის განვითარების (აკადემიური პერსონალის განვითარება, ინტერნაციონალიზაცია, ბიბლიოთეკა და სხვა) კომპონენტის ნაწილი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს პროგრამაზე დაშვების შესახებ ჩანაწერი იყოს პროგრამაშიც, რათა სტუდენტისთვის აღნიშნული ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი.
  - სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები
  - სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული იქნას კონკრეტულად მხოლოდ ის სწავლების მეთოდები, რომელიც რელევანტურია ამ სასწავლო კურსისთვის.
  - დასაკორექტირებელია სილაბუსებში ტექნიკური ტიპის უზუსტუბები.
  - უნივერსიტეტის მხრიდან საერთაშორისო მობილობაში სტუდენტების აქტიური ჩართვის მოტივივაციაზე ზრუნვა
  - პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისთვის სასურველია აკადემიური პერსონალის აფილირება უნივერსიტეტთან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

პრაქტიკა უზრუნველყოფილია სხვადსხვა ტიპის ჯანდაცვის დაწესებულებებში, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს პრაქტიკულად ნახოს და სრულყოფილად შეისწავლოს ქვეყნის ჯანდაცვის სიტემის მოწყობა.

სტუდენტის ნაშრომი ეტაპობრივად მოწმდება პლაგიატზე შესაბამისი პროგრამული ჩანართით, რაც გამორიცხავს პლაგიატის შემთხვევის გამოვლენას მხოლოდ ნაშრომის ჩაბარების შემდეგ.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

დაწესებულებამ გაითვალისწინა 2018 წელს მიღებული რეკომენდაციები და პროგრამა წარმოდგენილია მოდიფიცირებული სახით (ცვლილებები ძირითადად შეეხო პროგრამის დიზაინს , პროგრამის განვითარების მექანიზმებს და პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ ლიტერატურას).

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| **1.1 პროგრამის მიზნები** |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>თვითშეფასების ანგარიშის, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ პროგრამის მიზნები მკაფიოა და ნათლად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიას, ასევე მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის დებულებას. ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციების, პროფესიული ასოციაციების რეკომენდაციების, ასევე საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად სისტემის მართვის სფეროში არსებული თანამედროვე საჭიროებების და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება, აუცილებელი და თანამედროვე ცოდნის მიწოდებით. აღნიშნული მიზანი რეალისტირია და მიღწევადია უსდ-ის მიერ. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o კავკასიის უნივერსიტეტის დებულება<br>o მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის დებულება<br>o პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები<br>o პროგრამის განახლების ბრძანება 2019 წლის 13 მაისი №01/01-36<br>o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი<br>o შეხვედრები ადმინისტრაციასთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან<br>o სტუ სტრატეგიული განვითარების გეგმა<br>o დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი |

| |
|---|
| o |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები** |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები თანხვედრაშია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისთვის განსაზღვრულ მოსალოდნელ შედეგებთან და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, დარგის სპეციფიკურ და ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს და ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებას. კერძოდ:<br>1. აქვს ჯანდაცვითი ორგანიზაციების მართვის, მარკეტინგის, მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვისა და კონტროლის, ოპერაციული მართვის, დაგეგმვის, სტრატეგიული დაგეგმვის ფუნდამენტური კონცეფციებისა და თეორიების ღრმა და სისტემური ცოდნა |

2. აანალიზებს და პრაქტიკულ საქმიანობას მიუსადაგებს ჯანდაცვის მენეჯმენტის პროცესებს, პრობლემატიკასა და ინსტრუმენტებს და შეუძლია ჯანდაცვის მენეჯმენტის კონცეფციებისა და თეორიების პრაქტიკაში გამოყენება.
3. შესწევს უნარი ადეკვატური კვლევის და მონაცემთა შეგროვების მეთოდების გამოყენებით გაანალიზოს ჯანდაცვის მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები, მიღებული ინფორმაცია დაამუშაოს და გამოიტანოს არგუმენტირებული დასკვნა.
4. გააჩნია ჯანდაცვის მენეჯმენტის შესახებ ეფექტური წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარები, მათ შორის უცხოურ ენაზე.
5. ხელმძღვანელობს ჯანდაცვაში მიღებული და აღიარებული ფასეულობებით და ღირებულებებით, მონაწილეობს მათი განმტკიცების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუქა, რომელიც ასახავს, თუ როგორ ხდება შედეგების მიღწევა ცალკე აღებული კურსის ფარგლებში, ასევე მითითებულია სამიზნე ნიშნულები, რომელიც საკმაოდ ამბიციურია, რაც ადმინისტრაციის მხრიდან იქნა ახსნილი იმ გარემოებით, რომ უნივერსიტეტს სურს დაიჭიროს მაღალი ხარისხი და შესაბამისად სუსტი ან საშუალო მოსწრების სტუდენტი სარგებლობს მობილობით და ტოვებს უნივერსიტეტს, რითიც ხდება გადარჩევა და მხოლოდ წარმატებული სტუდენტები ამთავრებენ პროგრამას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი წარმოადგენს 100%.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გათვალისწნებულია როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირადპირი მეთოდის ინსტრუმენტებია:

- პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკა;
- პროგრამის დასრულების მაჩვენებელი;
- პროგარამაზე მობილობის მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკა, მათ შორის სპეციალობის მიხედვით;
- დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კუსრდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის შედეგები (როგორც ელექტრონული, ისე „მრგვალი მაგიდის“ პრინციპით).

აღნიშნულ ინსტრუმენტებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველწლიურად და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება შემდგომი განვითარების ეტაპები და რეაგირების გზები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა და მაშში ასახული შედეგები

| |
|---|
| o ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი<br>o კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი<br>o შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>o ვებგვერდი;<br>o გამოკითხვის შედეგები;<br>o ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | x | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სპეციალობაში გასაუბრების საფუძველზე. ასევე, პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელია ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა, რაც დასტურდება დიპლომის დანართით, ან წარმოდგენილი ენის სერტიფიკატით (IELTS – 5.5 ქულა, TOEFL – 72 ქულა), ან შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებით. აპლიკანტები, რომლებსაც დასრულებული აქვთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან/და სამაგისტრო პროგრამები, თავისუფლდებიან აღნიშნული სერტიფიკატის და შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება/ტესტირების ვალდებულებისაგან.<br>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების კითხვარში, ასევე მითითებულია, რომ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. ამიტომ სასურველია აღნიშნული ჩანაწერი გადმოვიდეს პროგრამაში, რათა სტუდენტისთვის აღნიშნული ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• სამაგისტრო პროგრამა |

- თვითშეფასების კითხვარი
- გასაუბრების შედეგები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს პროგრამაზე დაშვების შესახებ ჩანაწერი იყოს პროგრამაშიც, რათა სტუდენტისთვის აღნიშნული ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა შემუშავებულია კავკასიის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების (დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების) წესის შესაბამისად და აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

| |
|---|
| საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს და შედგება: თეორიული კომპონენტისა (84 ECTS კრედიტი), პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მიმართული კომპონენტის (6 ECTS კრედიტი) და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისაგან, რომელიც მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და მის დაცვას (30 ECTS კრედიტი).<br>სწავლების განმავლობაში სტუდენტმა უნდა გაიაროს:<br>• დარგობრივი სავალდებულო საგნები - 54 ECTS<br>• დარგობრივი არჩევითი საგნები - 30 ECTS (შეთავაზებული 60 ECTS)<br>• პრაქტიკული კომპონენტი - 6 ECTS<br>• სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS<br>კურიკულუმის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას და კორელიციაშია დოკუმენტში ასახულ სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსებს ძირითადად არ გააჩნიათ კურსზე დაშვების წინაპირობები, თუმცა სასურველია მაგალითად სასწავლო კურსის „ჯანდაცვის ორგანიზაციების ფინანსური მართვა, აღრიცხვა და ანგარიშგება“ პრერეკვიზიტად განიხილებოდეს „მმართველობითი აღრიცხვა და კონტროლი“-ს სასწავლო კურსი, რომელიც შეასწავლის ხარჯთაღრიცხვის მეთოდებს. ორგანიზაციის კონტროლის ინსტრუმენტებს, მმართველობითი მონაცემების შეგროვების ხერხებს და მათი ინტერპრეტაციის მეთოდებს, რისი ცოდნაც სავალდებულოა ფინანსური მართვის, აღიცხვის და ანგარიშგების შესასწავლად და გასაგებად.<br>პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2019 წლის 29 იანვრის №01/01-18 ბრძანება<br>o საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;<br>o საგანმანათლებლო პროგრამა;<br>o სილაბუსები;<br>o კურიკულუმის რუკა;<br>o ვებგვერდი;<br>o გამოკითხვის შედეგები;<br>o ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.3. სასწავლო კურსი** |
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტების რაოდენობა უნიფიცირებულია: სავალდებულო საგნებისათვის განისაზღვრება 6 კრედიტით (სადაც 120 სთ არის ყველა სასწავლო კურსისთვის დამოუკიდებელი სამუშაოსთვის განკუთვნილი დრო), ხოლო არჩევითი საგნებისთვის 5 კრედიტით (97 სთ დამოუკიდებელი სამუშაო დრო არჩევითი ყველა სასწავლო კურსისათვის).<br>აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებისას დაფიქსირდა, რომ სასურველია სასწავლო კურსები „ჯანდაცვის სამართალი და ბიოეთიკა“ და „ხარისხის მართვა და პაციენტის |

| |
|---|
| უსაფრთხოება“ გადავიდნენ არჩევითიდან სავალდებულო სასწავლო კურსებად, ვინაიდან ამ კურსებს სტუდენტი გაყავს ისეთ კომპეტენციაზე, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია დარგის ცოდნისთვის და ამავე დროს ამ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ასახულია პროგრამის ძირითად შედეგებშიც. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o საგანმანათლებლო პროგრამა;<br>o სილაბუსები;<br>o კურიკულუმის რუკა;<br>o სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;<br>o გამოკითხვის შედეგები;<br>o ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>სასურველია სასწავლო კურსები „ჯანდაცვის სამართალი და ბიოეთიკა“ და „ხარისხის მართვა და პაციენტის უსაფრთხოება“ გადავიდნენ არჩევითიდან სავალდებულო სასწავლო კურსებად, ვინაიდან ამ კურსებს სტუდენტი გაყავს ისეთ კომპეტენციაზე, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია დარგის ცოდნისთვის და ამავე დროს ამ სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი სწავლის შედეგები ასახულია პროგრამის ძირითად შედეგებშიც. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი „პროფესიული პრაქტიკა“ საშუალებას აძლევს სტუდენტებს სწავლის პერიოდში გაიარონ პრაქტიკა სხვადასხვა ჯანდაცვის დაწესებულებებში: სამინისტროში, სადაზღვევო ორგანიზაციაში, სააფთიაქო ქსელში, დაავადებათა კონტროლის ცენტრში და სტაციონარული ტიპის სამედიცინო დაწესებულებაში, გაეცნონ მათი მუშაობის სპეციფიკას, შეასრულონ პრაქტიკულ დავალებები. ყოველივე ზემოაღნიშნული კი საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს სათანადო კომპეტენცია და განივითაროს ტრანსფერული უნარები.

კვლევითი უნარების გამომუშავების მიზნით პროგრამით გათვალისწინებულია სავალდებულო საგანი „კვლევის მეთოდები ჯანდაცვაში“, რომელიც მთლიანად კვლევის მეთოდების შესწავლაზეა ორიენტირებული, შესაბამისად ხდება მაგისტრანტის მომზადება მთავარი კვლევითი კომპონენტის, სამაგისტრო ნაშრომის, შესრულებისთვის. გარდა ამისა პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსი ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს, სადაც სტუდენტს ევალება კვლევითი პროექტის მომზადება (მაგალითად „ჯანდაცვი მენეჯმენტი“).

უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია სტუდენტების პრაქტიკა სხვადასხვა ტიპის ჯანდაცვის დაწესებულებებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები
- სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი
- პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმები
- მაგისტრატურის დებულება
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამაშიც, სილაბუსებშიც და თვითშეფასების ანგარიშში ასახულია, რომ სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი, სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი და სხვა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუშში მითითებულია სწავლების ფორმატი: ლექცია და სემინარი, რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოყენებული იქნას ის |

| |
|---|
| მეთოდები, რომელიც იმავე სილაბუსში არის წარმოდგენილი (მაგ. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც მოითხოვს ჯგუფში სტუდენტების კონკრეტულ რაოდენობას, შესაბამისად მოწყობილ ოთახს და სწავლების სპეციფიურ მეთოდოლოგიას და ფორმატს).<br>ამიტომ სასურველია სასურველია დარჩეს სილაბუსებში მხოლოდ სწავლის მეთოდების ის ჩამონათვალი, რომელიც სპეციუფიურია სასწავლო კურსისთვის და მეცადინეობის ფორმატისთვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o საგანმანათლებლო პროგრამა<br>o სილაბუსები<br>o გამოკითხვის შედეგები |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული იქნას კონკრეტულად მხოლოდ ის სწავლების მეთოდები, რომელიც რელევანტურია ამ სასწავლო კურსისთვის. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.6. სტუდენტების შეფასება |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სტუდენტების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმნეტების მიხედვით. მაგისტრატურის დებულებით გაწერილია პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა. კერძოდ:<br>პრაქტიკის ხელმძღვანელი მიმღები ორგანიზაციის წარმომადგენლის შეფასების და სტუდენტის მიერ შესრულებული ეტაპობრივი და საბოლოო ანგარიშების შეფასების საფუძველზე აფასებს სტუდენტს დადგენილი 100 ქულიანი სისტემით, შემდეგ კომპონენტებში:<br>• მიღებული ცოდნის პრაქტიკაში ადექვატური გამოყენება (წარმოდგენილი ანგარიშების და მიმღები ორგანიზაციის დახასიათების საფუძვზე);<br>• ეფექტური კომუნიკაცია: ჯგუფში მუშაობა, ანგარიშების დროული წარმოდგენა, სემესტრის განმავლობაში სემინარებში მონაწილეობა;<br>• კომპიუტერული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება (წარმოდგენილი ანგარიშების და მიმღები ორგანიზაციის დახასიათების საფუძველზე);<br>• პროფესიული ეთიკა და კეთილსინდისიერება (მიმღები ორგანიზაციის დახასიათების საფუძველზე);<br>• ანგარიშების შესრულების ხარისხი;<br>• პრაქტიკის საბოლოო ანგარიშის პრეზენტაცია.<br>1. სტუდენტი დასკვნით ეტაპზე დაიშვება თუ გადალახავს შუალედური შეფასების 70 ქულიდან 59%-იან ზღვარს. წინააღმდეგ შემთხვევაში კლინიკა შეფასდება ”F”- ით.<br>**2.** სტუდენტი დასკვნით ეტაპზე ვალდებულია გადალახოს 30 ქულის ფარგლებში შეფასების 60%-იანი ზღვარი.<br>.სტუდენტი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი წარმოადგინოს და დაიცვას რეგისტრაციიდან 2 (ორი) სემესტრის განმავლობაში. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით)<br>სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს, შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.<br>რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში შესაბამისობაშია მოსაყვანი შეფასების მაქსიმალური ქულები (მაგ: „ოპერაციული მენეჯმენტი“-ს სასწავლო კურისის ცოდნის შეფასების ფორმებსა და კრიტერიუმებში ასახული ციფრები არ ემთხვევა შემდგომში აღწერილ (პრეზენტაცია, რეფერატი) შეფასების ციფრებს (ქულებს). |

| |
|---|
| „სამედიცინო ორგანიზაციების მართვა“ შუალედური გამოცდა ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმებში მითითებულია რომ არის 20, თუმცა იქვე შუალედური გამოცდის შესაცებ ნარატივში აღნიშნულია, რომ მაქსიმალური ქულა არის 30. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o საგანმანათლებლო პროგრამა<br>o სილაბუსები<br>o მაგისტრატურის დებულება |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>დასაკორექტირებელია სილაბუსებში ტექნიკური ტიპის უზუსტუბები |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია | x | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | | |

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| **3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება** |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უსდ-ში სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან ყველა საჭირო პროცედურული ინფორმაციით, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სტუდენტის აკადემიურ წარმატებაზე ან მის სტატუსზე.<br><br>უსდ გარდა ფორმალურად ჩამოყალიბებული სერვისებისა, სტუდენტების კონსულტირებას ბიუროკრატიული ნაწილის გარეშეც ახორციელებს, კერძოდ - ელექტრონული და პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებით. პროგრამას ჰყავს აკადემიური მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტთა ინფორმირებაზე.<br><br>დაწესებულებაში შემუშავებულია სტუდენტთა აკადემიური კონსულტირების გრაფიკიც, რომელიც ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისთვის. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი სტუდენტთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ატარებს საკონსულტაციო შეხვედრებს, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფისთვის.<br><br>უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა კარიერულ განვითარებასა და დასაქმებაზე ზრუნავს სტუდენტთა დასაქმების სამსახური (CU Career), რომელიც ვაკანტური პოზიციების შესახებ ინფორმაციას აწვდის კურსდამთავრებულებს, გარდა ამისა, უწევს ორგანიზებას დასაქმების ფორუმებს.<br>დაწესებულებაში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ჩაერთონ სხვადასხვა ღონისძიებებში, მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში. პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი არ არის მაღალი, თუმცა |

| |
|---|
| თავად სტუდენტები აღნიშნულ ფაქტორს თავიანთი დასაქმებით და მოუცლელობით ხსნიან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია;<br>• სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;<br>დაწესებულების ვებ-გვერდი (cu.edu.ge) |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>უნივერსიტეტის მხრიდან უნდა გაიზარდოს საერთაშორისო მობილობაში სტუდენტების აქტიური ჩართვის მოტივივაციაზე ზრუნვა |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა** |
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |

| |
|---|
| პროგრამის ფარგლებში დაწესებულება სტუდენტებს ხელმძღვანელად სთავაზობს კვალიფიციურ აკადემიურ პერსონალს. ხელმძღვანელებისთვის წაყენებული მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები დეტალურად არის გაწერილი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური ერთეულის მიერ შემუშავებულ მაგისტრატურის დებულებაში.<br>დაწესებულება სტუდენტებს აძლევს უფლებას უკმაყოფილების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე 1 სემესტრით ადრე შეიცვალოს ხელმძღვანელი. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მოწვევას და შრომის ანაზღაურებას, თუკი ის არ არის დაწესებულების აკადემიური პერსონალი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია;<br>• სამაგისტრო ნაშრომები;<br>• მაგისტრატურის დებულება;<br>• აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>სტუდენტის ნაშრომი ეტაპობრივად მოწმდება პლაგიატზე შესაბამისი პროგრამული ჩანართით, რაც გამორიცხავს პლაგიატის შემთხვევის გამოვლენას მხოლოდ ნაშრომის ჩაბარების შემდეგ. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | x | | | |

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| **4.1 ადამიანური რესურსი** |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; |

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შერჩევა მიმდინარეობს „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“ შესაბამისად. არჩეული აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება აკადემიურ პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით. ამჟამად, კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლაში ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს - 3 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტი (აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი: პროგრამიდან წავიდა 3 ასოცირებული პროფესორი, ხოლო შემოუერთდა 1 პროფესორი და 1 ასოცირებული პროფესორი).

უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობის და საათობრივი დატვირთვის განაწილების წესი.

პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობისა და მათი რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე სათანადო რაოდენობის აკადემიური პერსონალით. მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები არიან მაღალკვალიფიციური და დარგში აქტიურად მოღვაწე სპეციალისტები. პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განხორციელებაში არ მონაწილეობს უნივერსიტეტთან აფილირებული არცერთი პროფესორი, რაც ადმინისტრაციის მხრიდან ახსნილი იქნა იმ გარემოებით, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს აფილირებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის და რეგულაციების მომზადება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი
- „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პერსონალის პირადი საქმეები;

| |
|---|
| o საკონკურსო მასალები;<br>o უნივერსიტეტის დებულება<br>o ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისთვის სასურველია აკადემიური პერსონალის აფილირება უნივერსიტეტთან |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება** |
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |

უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებულია, რომ უნივერსიტეტის წარმატება პირდაპირ კავშირშია მის მიერ პერსონალის სწორ მართვასთან. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის ერთიანი და თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელიც გაწერილია „პერსონალის მართვის პოლიტიკი"-ს დოკუმენტში. უნივერსიტეტის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების პროცესი მოიცავს საქმიანობის ერთწლიან ციკლს. ძირითადი პრინციპებისა და მექანიზმების გამოიყენება როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესში.

<u>აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება</u>

კავკასიის უნივერსიტეტში ყოველსემესტრულად ხდება აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ, როემლიც მიბმულია სემესტრში მათ სალექციო დატვირთვაზე.

აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სტუდენტების მხრიდან შეფასების პროცედურა შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

1. უნივერსიტეტში ხდება სტუდენტების მიერ როგორც ადმინისტრაციული ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება.

ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტები ელექტრონული ფორმით ახდენენ პერსონალის და პროგრამის კომპონენტების შეფასებას დადგენილი კითხვარის საფუძველზე. სადაც ისინი აფასებენ თითოეულ სასწავლო დისციპლინაში შესაბამის ლექტორს. კითხვარი შედგება დახურული და ღია კითხვებისაგან და ღია კითხვები ქულით არ ფასდება. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ინახება სკოლაში ან/და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორთან. ხოლო, სკოლის დეკანი, განზოგადებულ შედეგებს, საჭიროების შემთხვევაში განიხილავს სკოლის საბჭოს სხდომაზე და ახდენს ინდივიდუალურად ლექტორებისთვის მიწოდებას და მიღებული შედეგების მართვას. შეფასება ანონიმურია და ხდება პირველ რიგში უკუკავშირი ლექტორებთან ხოლო შემდგომ არსებული შედეგების შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

2. პერსონალის სტუდენტთა შეფასების ანალიზს ახორციელებს სკოლის დეკანი ან/და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი.

შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და გათვალისწინებულია პერსონალის დაწინაურებისა და წახალისებისას.

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით, ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, სადაც გაწერილია პერსონალის განვითარების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები, როგორიცაა: ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამები, კვლევითი საგრანტო პროგრამები, აკადემიური შვებულება და სხვა, რომლებიც

ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში. თუმცა პერსონალთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ მსგავს აქტივობებში, რომელსაც განახორციელებს კავკასიის უნივერსიტეტი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.
- სტუდენტების მხრიდან ადმინისტრაციის შეფასების კითხვარი და მიღებული შედეგები;
- პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

**რეკომენდაციები:**

უნივერსიტეტის მხრიდან უფრო მეტი ზრუნვა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებაზე.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.3 მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია შესაბამის მატერიალურ-ტექნიკრი ბაზა: არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მ.შ. სხვადასხვა სასწავლო აღჭურვილობა და ინვენტარი, პროგრამული რესურსები, სასწავლო მასალები, სხვადასხვა მარაგები სტუდენტთა შესაბამისი რაოდენობის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები:

- HeinOnline
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books
- Cambridge Journals Online
- International Security & Counter Terrorism Reference Center
- e-Duke Journals Scholarly Collection
- SAGE Premier
- EBSCO
- Taylor And Francis Online

დაწესებულებაში გამიჯნულია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო სასწავლო (აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სხვა) და დამხმარე ფართი. უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ფართობების უწყვეტი ელმომარაგება და ტექნიკური უსაფრთხოება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი
- ფაქტობრივი მდგომარეობა
- გამოკითხვის შედეგები

| |
|---|
| |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>2019 წლის 29 იანვარს კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მიერ დამტკიცდა ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის განახლებული განახლებული ბიუჯეტი. პროგრამის ღირებულებამ შეადგინა 9900 ლარი. პროგეამიდან შემოსავალი 198 000 ლარი, აქედან<br>განვითარება, კვლევითი პროექტი, ავტორიზაცია.აკრედიტაცია, ინტერნაციონალიზაციაზე გამოყოფილია 11 540 ლარი, ხოლო პროგრამის მოგებაში ფიქსირდება 128 672.85.<br>სასურველია გაიზარდოს პროგრამის განვითარების ბიუჯეტი (აკადემიური პერსონალის განვითარება, ინტერნაციონალიზაცია, ბიბლიოთეკა და სხვა). |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი<br>o ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>სასურველია გაიზარდოს ბიუჯეტში პროგრამის განვითარების (აკადემიური პერსონალის განვითარება, ინტერნაციონალიზაცია, ბიბლიოთეკა და სხვა) კომპონენტის ნაწილი. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სწავლების<br>რესურსებით<br>უზრუნველყოფა | | x | | |

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| **5.1 შიდა ხარისხის შეფასება** |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტის შიდა ხარისხის შეფასებაზე პასუხისმგებელი ორგანოა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექტორი და მენეჯერები, რომლებიც თავის მხრივ მონიტორინგს უწევენ და ჩართულნი არიან პროცესების ყველა ეტაპზე: დაგეგმვაში, განხორციელებაში, შემოწმებასა და განვითარებაში (მიმდინარე შეფასებები, მიღებული შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება). მმართველი ორგანოების მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი“-ს მარეგულირებელი დოკუმენტი აღწერს კავკასიის უნივერსიტეტში დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს და ხარისხის კულტურას, ორიენტირებულია უნივერსიტეტის საქმიანობის და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებაზე. უნივერსიტეტში გადაწყვეტილებები მიიღება ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.<br>და ეფუძნება შოვჰარტის ციკლის მიდგომას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA). უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი, რომელიც მოიცავს პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ეტაპებს. თითოეულ ეტაპზე გათვალისწინებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლის ჩართულობა. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა იყენებს წინასწარ განსაზღვრულ |

ინდიკატორებს. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ადასტურებს, რომ მათ გაუჭირდათ კვლევის შედეგების ანალიზი და ზოგადად, პროგრამასთან მიმართებაში კონკრეტული ინდიკატორებისათვის კვლევის შედეგების მორგება და ამ ეტაპზე მიმდინარეობს კითხვარების და გამოკითხვის სიტემის გაუმჯობესების პროცესი.

ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართული იყო მხოლოდ უსდ-ს ადმინისტრაციული პერსონალი. მათი აზრით თვითშეფასების ჯგუფის ამ ფორმატში მუშაობა ეფექტურია და სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა აზრი გამოკითხვების საშუალებითაც შეიძლება დადგინდეს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია;
- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტთა გამოკითხვის ფორმები და შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
  ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება.

**რეკომენდაციები:**

მიზანშეწონილია პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით სტუდენტების, დამსაქმებლების და აკადემიური პერსონალის აქტიურობა, კერძოდ ჩართულობა თვითშეფასების შემუშავების პროცესში

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 გარე ხარისხის შეფასება**

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა ხარისხის გარე შეფასებისთვის ძირითადად ეყრდნობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უსდ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების რეკომენდაციებს. მათ შორის, პროგრამის შემთხვევაში, დაწესებულებამ გაითვალისწინა 2018 წელს მიღებული ძირითადი რეკომენდაციები და პროგრამა წარმოდგენილია მოდიფიცირებული სახით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია;
- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

დაწესებულებამ გაითვალისწინა 2018 წელს მიღებული რეკომენდაციები და პროგრამა წარმოდგენილია მოდიფიცირებული სახით (ცვლილებები ძირითადად შეეხო პროგრამის დიზაინს , პროგრამის განვითარების მექანიზმებს და პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ ლიტერატურას).

**შეფასება**

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დაწესებულებაში შემუშავებულია პროგრამის შეფასების მექანიზმები. დაწესებულება უზრუნველყოფს ამ მექანიზმების საშუალებით მონაცემთა სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს. შეფასების პროცესში ჩართულნი არიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.
დაწესებულება ყოველი სემესტრის ბოლოს ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას, რომლის მიზანიცაა დაადგინოს სტუდენტთა კმაყოფილება კონკრეტული კურსების და აკადემიური პერსონალის მიმართ. ამასთან, დაწესებულებას გააჩნია გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით პროგრამაში ცვლილების განხორციელების პრაქტიკაც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია;
- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტთა გამოკითხვის ფორმები და შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
  შეხვედრების ოქმები;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია პროგრამის განვითარების მიზნით, თვითშეფასების სამუშაო ჯგუფში ჩაერთონ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | x | | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | x | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | x | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | x | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | x | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | x | | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა ხათუნა საგანელიძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა  ნინო ზარნაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა  დავით ცირამუა